# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №332

ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი №**SPA170009388**

ქალაქი ქუთაისი 22 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ,
**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია**
წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, **შოთა მურღულიას** სახით,
მის: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170
ტელეფონის ნომერი: +995 431-24-54-54
ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: №200122900
**(შემდგომში შემსყიდველი)**

და მეორეს მხრივ,
შ.პ.ს „TU-KA"
წარმოდგენილი შ.პ.ს „TU-KA"-ს დირექტორის, **ომარ თოთაძის** სახით,
მის: ქ. ქუთაისი, ნინოშვილის ქ. #59ა
საიდენტიფიკაციო ნომერი: №412688435
ტელეფონის ნომერი: +995 555-36-22-86
ვებ გვერდი: totadzeomari@yahoo.com
საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE41BG0000000291099400
**(შემდგომში მომწოდებელი)**

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის, შ.პ.ს „TU-KA"-ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც გაიმარჯვა ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6 ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ **ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია**, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ---------------- შ.პ.ს „TU-KA" ----------------

## 2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის (რუსთაველის გამზ. №3) დაზიანებული სახურავის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული სამხედრო სამსახურის შენობის (რუსთაველის გამზირის №1) დაზიანებული სახურავის და ქალაქ ქუთაისის მერიის ბალანსზე რიცხული სოციალურ საკითხთა სამსახურის შენობის (ნ. დუმბაძის ქ. №61) სახურავის შეცვლის სამუშაოები.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ხარჯთაღრიცხვები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.3 კლასიფიკატორის კოდი – 45200000.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 75797,28 (სამოცდათხუთმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაჩვიდმეტი და 28 თეთრი) ლარს.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად შეამოწმოს სამუშაოები, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი" დაუყონებლივ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს" დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი."

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.6 ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს სამუშაოს შესრულების მოცულობას, ხარისხს და ვადებს.

## 5. სამუშაოს შესრულების ვადები

5.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის (რუსთაველის გამზ. №3) დაზიანებული სახურავის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული სამხედრო სამსახურის შენობის (რუსთაველის გამზირის №1) დაზიანებული სახურავის და ქალაქ ქუთაისის მერიის ბალანსზე რიცხული სოციალურ საკითხთა სამსახურის შენობის (ნ. დუმბაძის ქ. №61) სახურავის შეცვლის სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულოს ხელშეკრულების დადებიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

5.2 „მიმწოდებელმა" საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს დემონტირებული თუნუქისა და ხის მასალის დასაწყობება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კუთვნილ ტერიტორიაზე (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, გამსახურდიას ქ. №22).

5.3 სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იქნას მეტეოროლოგიური პირობები და დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტს მიიღებს ეტაპობრივად, ფაქტიურად დასრულებულ ობიექტებზე, თუკი შუალედურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება იქნება სახელშეკრულებო თანხის არანაკლებ 10%, გარდა ბოლო შესრულებისა.

6.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე - ფაქტიურად დასრულებულ ობიექტებზე მიღება-ჩაბარების დროს.

6.3 სამუშაოს დასრულების ვადად ითვლება „შემსყიდველი" ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.

6.4 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ---------------------- შ.პ.ს „TU-KA" ----------------------

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა,

ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,

გ) ფაქტიურად დასრულებულ ობიექტებზე მიღება-ჩაბარების აქტი,

დ) ექსპერტიზის დასკვნა - ფაქტიურად დასრულებულ ობიექტებზე მიღება-ჩაბარების დროს,

ე) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ.–ს ანგარიშფაქტურა.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად დასრულებულ ობიექტების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში, თუკი შუალედურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება იქნება სახელშეკრულებო თანხის არა ნაკლებ 10%, გარდა ბოლო შესრულებისა.

7.5 „მიმწოდებლი“–ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 20%–ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებლი“–ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, საავანსო გადახდის თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების ვადას (წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენა დასაშვებია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, როგორც ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ისე უცხოურ ვალუტაში - ა.შ.შ დოლარში ან/და ევროში. OECD-ს წევრი ქვეყნების საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის დოკუმენტის ვალიდურობა დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან/და წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ავიზირება. იმ შემთხვევაში თუკი, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი იქნება უცხოურ ვალუტაში და სავალუტო კურსის ცვლილება (ლარის გამყარება) გამოიწვევს ხელშეკრულებით პირობების მიხედვით გაცემული და დაუდასტურებელი (გამოუქვითავი) საავანსო თანხის შემცირებას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაზარდოს წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის ღირებულება და წარუდგინოს იგი შემსყიდველს ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7.6 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი“-ს მიერ ყოველ შესრულებულ სამუშაოზე დაკავდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევარი (2.5%) დაბრუნდება სამუშაოების სრულად დასრულებისა და „შემსყიდველი“-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი - (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი“) სამუშაოების საგარანტიო ვადის (სამი წელი) გასვლის შემდეგ. საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია 3 (სამი) თვის ვადაში მიმართოს „შემსყიდველს“ დაკავებული თანხის დაბრუნების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ არ მიმართავს თანხის დაბრუნების თაობაზე, „მიმწოდებელს“ აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება. ასევე საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ „შემსყიდველი“-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან სპეციალური კომისია აქტის შედგენისას თუ დააფიქსირებს შესრულებული სამუშაოს ნაკლს ან უხარისხობას, „მიმწოდებელს“ აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

## 8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადად განისაზღვრება **2 (ორი)** წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ----------------------------- შ.პ.ს „TU-KA“ -----------------------------

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. ქვეკონტრაქტორები

10.1 ,,მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა ქვეკონტრაქტთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.

12.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

**დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები:**

13.3 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში, (თვითნებურობის ფაქტს დაადგენს „შემსყიდველი" ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე პერიოდში) „მიმწოდებელი" გადაიხდის ჯარიმას 45500 (ორმოცდახუთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ---------------- შ.პ.ს „TU-KA" ----------------

13.4 თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს სამუშაოების დასრულების ვადას, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.
13.5 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%–ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.6 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ გადაიხდის პირგასამტეხლოს, 60600 (სამოცი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.
13.7 წინამდებარე ხელშეკრულების 13.3 და 13.6 მუხლებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები არ გამოიყენება ერთდროულად.
13.8 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის“ დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
13.9 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.10 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

## 14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.
14.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, გარდა მე-7 მუხლის 7.6 და მე-8 მუხლის 8.1 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა.
16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ------------------

შ.პ.ს „TU-KA“ ------------------

**კრებსითი ხარჯთაღრიცხვა**

| № | დასახელება | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის (რუსთაველის გამზ. #3) სახურავის დაზიანებული ნაწილის შეცვლა | 1026,61 |
| 2 | ქ. ქუთაისის მერიის ბალანსზე რიცხული სამხედრო სამსახურის შენობის (რუსთაველის გამზირის #1) დაზიანებული სახურავის შეცვლა | 27410,91 |
| 3 | ქ.ქუთაისის მერიის ბალანსზე რიცხული სოციალურ საკითხთა სამსახურის შენობის (ნ.დუმბაძის ქ.#61) განთავსებული სახურავის შეცვლა | 47359,76 |
| | ჯამი | 75797,28 |

შ.პ.ს "TU-KA"-ს დირექტორი: ომარი თოთაძე

## ქქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის ( რუსთაველის გამზ. №3) სახურავის დაზიანებული ნაწილის შეცვლის ხარჯთაღრიცხვა

### წინასწარი ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოს დასახელება | განზ. | რაოდ. | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1 | შენობის სახურავიდან არსებული თუნუქის დემონტაჟი ( დასაწყობებით) | კვ.მ | 32,00 | | 0,00 | 1,00 | 32,00 | | 0,00 | 32,00 |
| 2 | ფურცლოვანი თუნუქის შეძენა, მონტაჟი სისქით 0,55მმ (+ – 0,05 მმ) | კვ.მ | 32,00 | 9,00 | 288,00 | 8,00 | 256,00 | | 0,00 | 544,00 |
| 3 | ხის კოჭები (დ= 7X5ს.მ) | გრძ.მ | 30,00 | 3,00 | 90,00 | 1,00 | 30,00 | | 0,00 | 120,00 |
| 4 | შურუფი, 6ც--1კვ.მ | ც | 100,00 | 0,15 | 15,00 | | 0,00 | | 0,00 | 15,00 |
| | ჯამი თავი I: | | | | | | | | | 711,00 |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | 71,10 |
| | ჯამი | | | | | | | | | 782,10 |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | 62,57 |
| | ჯამი | | | | | | | | | 844,67 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% | 3% | | | | | | | | 25,34 |
| | ჯამი | | | | | | | | | 870,01 |
| | დ ღ გ 18 % | 18% | | | | | | | | 156,60 |
| | ჯამი | | | | | | | | | 1026,61 |

შ.პ.ს "TU-KA"-ს დირექტორი: ომარი თოთაძე

| ქქუთაისის მერიის ბალანსზე რიცხული რუსთაველის გამზირის №1- ში მდებარე სამხედრო სამსახურის შენობის დაზიანებული სახურავის შეცვლის ხარჯთაღრიცხვა | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წინასწარი ხარჯთაღრიცხვა | | | | | | | | | | |
| № | სამუშაოს დასახელება | განზ. | რაოდ. | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
| | | | | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1 | შენობის სახურავიდან არსებული თუნუქის დემონტაჟი ( დასაწყობებით ) | კვ.მ | 850,00 | | 0,00 | 1,00 | 850,00 | | 0,00 | 850,00 |
| 2 | დაზიანებული ხემასალის დემონტაჟი ( ადგილ- ადგილ) | მ3 | 5,00 | | 0,00 | 10,00 | 50,00 | | 0,00 | 50,00 |
| 3 | ფურცლოვანი თუნუქის შეძენა,მონტაჟი სისქით 0,55მმ ( + – 0,05 მმ) | კვ.მ | 850,00 | 9,00 | 7650,00 | 8,00 | 6800,00 | | 0,00 | 14450,00 |
| 4 | სახურავის ხის ფიცრის მოწყობა,ჩამოგ,III ხარ, 25-32მმ | მ3 | 5,00 | 550,00 | 2750,00 | 30,00 | 150,00 | | 0,00 | 2900,00 |
| 5 | შენობის მეოთხე სართულზე მოეწყოს ჭერში ასასვლელი ღიობი კედელზე მიმაგრებული რკინის კიბით | ც | 1,00 | 100,00 | 100,00 | 20,00 | 20,00 | | 0,00 | 120,00 |
| 5 | ლურსმანი 100 მმ | კგ | 7,00 | 2,00 | 14,00 | | 0,00 | | 0,00 | 14,00 |
| 6 | ამწე კალათის მომსახურება | დღე | 5,00 | | 0,00 | | 0,00 | 100,00 | 500,00 | 500,00 |
| 7 | სამშენებლო ნაგვის დატვირთვა თვითმცლელზე 10 კილომეტრზე გატანით | მ3 | 2,00 | | 0,00 | | 0,00 | 50,00 | 100,00 | 100,00 |
| | ჯამი თავი I: | | | | | | | | | **18984,00** |
| | ზედნადები ხარჯები | **10%** | | | | | | | | **1898,40** |
| | ჯამი | | | | | | | | | **20882,40** |
| | გეგმიური დაგროვება | **8%** | | | | | | | | **1670,59** |
| | ჯამი | | | | | | | | | **22552,99** |
| | **გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%** | **3%** | | | | | | | | **676,59** |
| | **ჯამი** | | | | | | | | | **23229,58** |
| | დ ღ გ **18 %** | **18%** | | | | | | | | **4181,32** |
| | ჯამი | | | | | | | | | **27410,91** |

შ.პ.ს "TU-KA"-ს დირექტორი: ომარი თოთაძე

შპს TU-KA GEORGIA, LTD "TU-KA" 412068435

## ქქუთაისის მერიის ბალანსზე არსებული ნ.დუმბაძის ქ.№61-ში განთავსებული სოციალურ საკითხთა სამსახურის შენობის სახურავის შეცვლის ხარჯთაღრიცხვა

### წინასწარი ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოს დასახელება | განზ. | რაოდ. | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1 | შენობის სახურავიდან არსებული თუნუქის დემონტაჟი ( დასაწყობებით ) | კვ.მ | 1300,00 | | 0,00 | 1,00 | 1300,00 | | 0,00 | 1300,00 |
| 2 | დაზიანებული სახურავის ხის კონსტრუქციის დემონტაჟი (ნაწილის) | მ3 | 15,00 | | 0,00 | 10,00 | 150,00 | | 0,00 | 150,00 |
| 3 | სახურავის ხის შეფიცვრის მოწყობა,ფიცარი ჩამოგანილი,III ხარ,25–32 მმ | მ3 | 15,00 | 550,00 | 8250,00 | 30,00 | 450,00 | | 0,00 | 8700,00 |
| 4 | ფურცლოვანი თუნუქის შეძენა,მონტაჟი.სისქით 0,55მმ ( + – 0,05მმ) | კვ.მ | 1300,00 | 9,00 | 11700,00 | 8,00 | 10400,00 | | 0,00 | 22100,00 |
| 5 | ლურსმანი 100 მმ | კგ | 25,00 | 2,00 | 50,00 | | 0,00 | | 0,00 | 50,00 |
| 6 | ამწეს მომსახურეობა | დღე | 3,00 | | 0,00 | | 0,00 | 100,00 | 300,00 | 300,00 |
| | სამშენებლო ნაგვის დატვირთვა და გატანა 10 კილომეტრზე | მ3 | 5,00 | | 0,00 | | 0,00 | 40,00 | 200,00 | 200,00 |
| | ჯამი თავი I: | | | | | | | | | 32800,00 |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | 3280,00 |
| | ჯამი | | | | | | | | | 36080,00 |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | 2886,40 |
| | ჯამი | | | | | | | | | 38966,40 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯი 3% | 3% | | | | | | | | 1168,99 |
| | ჯამი | | | | | | | | | 40135,39 |
| | დ ღ გ 18 % | 18% | | | | | | | | 7224,37 |
| | ჯამი | | | | | | | | | 47359,76 |

შ.პ.ს "TU-KA"-ს დირექტორი: ომარი თოთაძე

მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|
| | | | საკუთარი | იჯარით |
| 1 | „KAMAZ KCS5713 | 1 | | იჯარით |
| 2 | „ზილი 130“ | 1 | | იჯარით |
| 3 | „ფორდ ტრანზიტი“ | 2 | | იჯარით |
| 4 | მიცუბიში | 1 | საკუთარი | |

შ.პ.ს “TU-KA”-ს დირექტორი: ომარი თოთაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქუთაისი

30 აგვისტო 2017 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე–5 მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის მიერ 2017 წლის 7 ივლისს გამოცხადებულ **№SPA17009388** (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის (რუსთაველის გამზ. №3) დაზიანებული სახურავის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული სამხედრო სამსახურის შენობის (რუსთაველის გამზირის №1) დაზიანებული სახურავის და ქალაქ ქუთაისის მერიის ბალანსზე რიცხული სოციალურ საკითხთა სამსახურის შენობის (ნ. დუმბაძის ქ. №61) სახურავის შეცვლის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა) ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის საფუძველზე 2017 წლის 22 აგვისტოს დადებული №332 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განმახორციელებელი მიმწოდებლის, შ.პ.ს „TU-KA“-ს მიმართ ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების პროცესში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ინსპექტირების ჯგუფის წევრები:

ზვიად ჯავახია

გელა ვაშაყმაძე

ვახტანგ სიმონიშვილი

ლაშა ჭელიძე

თორნიკე ნემსიწვერიძე

კობა ბუცხრიკიძე

გოჩა მოწონელიძე

# საქართველო
# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2174
24/08/2017

2174-01-4-201708241441

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „TU-KA"-ს შორის 2017 წლის 22 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №332 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 22-ე მუხლის თანახმად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის (რუსთაველის გამზ.№3) სახურავის დაზიანებული ნაწილის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული სამხედრო სამსახურის შენობის (რუსთაველის გამზ.№1) დაზიანებული სახურავისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული (ნ.დუმბაძის №61), სოციალურ საკითხთა სამსახურის შენობის დაზიანებული სახურავების შეცვლის სამუშაოების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეიქმნეს ინსპექტირების ჯგუფი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „TU-KA"-ს შორის 2017 წლის 22 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №332 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, შემდეგი შემადგენლობით:

| | | |
|---|---|---|
| ზვიად ჯავახია | - | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი; |
| გელა ვაშაყმაძე | - | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი; |
| ვახტანგ სიმონიშვილი | - | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის , მეორადი სტრუქტურული ერთეულის მიმდინარე სამუშაოების ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი |
| ლაშა ჭელიძე | - | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მიმდინარე სამუშაოების ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; |
| თორნიკე ნემსიწვერიძე | - | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი; |
| კობა ბუცხრიკიძე | - | ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი |

სპეციალისტი;

გოჩა მოწონელიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის პირველადი აღრიცხვაზე აყვანისა და გაწვევის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის, შესრულებულ სამუშაოთა დოკუმენტების დადასტურება და მიმწოდებელთან ანგარიშსწორება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ნოდარ მიქიაშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი